

# 04 | გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებები

მნიშვნელოვანი  
სასამართლო  
გადაწყვეტილება



სასწავლო  
კურსი

ჯანსაღი გარემოების დაცვის უფლება  
და გარემოსდაცვითი მართლმსაჯულებაზე  
ხელმისაწვდომობა

# სასამართლო პრაქტიკის მაგალითი

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა და შეაჩერა სადავო აქტის მოქმედება.

ააიპ „უსაფრთხო სივრცემ“ სასამართლოში გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2018 წლის 20 ივნისს მიღებული ბრძანება. ბრძანებით დადგენილი იყო დიდმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

წლების განმავლობაში დიდმის ტყე-პარკთან დაკავშირებით და ქალაქში გამწვანებული ტერიტორიების დასაცავად მიღებული იყო არაერთი აქტი, რომლითაც ამ ტერიტორიაზე მშენებლობა იკრძალებოდა. მათ შორის, 2006 წლის 31 მარტის თბილისის საკრებულოს დადგენილებით დიდმის ტყე-პარკი გამწვანების სპეციალურ ზონად გამოცხადდა. კერძოდ, ტყე-პარკის ტერიტორიაზე აიკრძალა სამშენებლო სამუშაოების წარმოება. 2009 წელს დამტკიცებული გენერალური გეგმის მიხედვით კი, ეს ტერიტორია სრულად დამტკიცდა, როგორც სარეკრეაციო ზონა. მომდევნო პერიოდში თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს შეეცვალა სტატუსი და სარეკრეაციო ზონა 1 საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ად გადაკეთდა. ეს უკანასკნელი განაშენიანების მაღალი ინტენსიობის ზონაა, სადაც საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები დომინირებს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, შესაძლოა ადგილი ჰქონოდა დოკუმენტების გაყალბებას, რის შედეგადაც ტყე-პარკის შიდა ტერიტორიის დაახლოებით 7 ჰექტარიც საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ად იყო გადაკეთებული.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ნებადართული მშენებლობა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა დიდმის ტყე-პარკს, რომელიც სარეკრეაციო ზონის ფუნქციას ასრულებდა. ამ საქმეში სასამართლომ გაითვალისწინა მოსარჩელის შუამდგომლობა და შეაჩერა მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ნებართვის მოქმედება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რითაც თავიდან აირიდა დიდმის ტყე-პარკისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენება.

ამასთან, სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით წარმოებაც შეაჩერა მანამდე, სანამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანს ამავე ტერიტორიასთან დაკავშირებულ მეორე საქმეზე (№3/2783-19 საქმეზე). ამ უკანასკნელშიც მოსარჩელე ა(ა)იპ „უსაფრთხო სივრცე“ და ითხოვს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას დიდმის ტყე-პარკის ტერიტორიის ნაწილისათვის ზონის ცვლილების ნაწილში.



პუბლიკაცია შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა, არ ასახავდეს UNDP-სა და გერმანიის მთავრობის თვალსაზრისს.

